

B. კანფეტები

ამოცანის სახელი	კანფეტები
დროის ლიმიტი	3 წამი
მეხსიერების ლიმიტი	1 გიგაბაიტი

ამბობენ, რომ უძველეს ქალაქ იკაში არის მდიდრული სასახლე, რომლის დერეფანში განთავსებულია მთელი მსოფლიოდან შეკრებილი N ცალი კანფეტებიანი ყუთი. მოგზაურებს შეუძლიათ აიღონ ნებისმიერი რაოდენობით კანფეტი, ოღონდ ამისათვის მოუწევთ ოქროთი გადაიხადონ.

კანფეტებიანი ყუთები გადანომრილია 0-დან $(N - 1)$ -მდე მარცხნიდან მარჯვნივ. i -ურ ყუთში დარჩენილია a_i კანფეტი, სადაც a_i მთელი არაუარყოფითი რიცხვია.

თქვენ ხართ სასახლის მცველი და გსურთ, რომ ყუთები დიდი რაოდენობის კანფეტებით განლაგებულნი იყოს შემოსასვლელთან ახლოს.

თქვენ გეძლევათ მასივი a_0, a_1, \dots, a_{N-1} , და ასევე რიცხვები F და T . ერთი ოპერაციით თქვენ შეგიძლიათ ადგილი გაუცვალოთ ორ **მეზობელ** ელემენტს a_0, a_1, \dots, a_{N-1} მიმდევრობაში. რა მინიმალური რაოდენობის ოპერაციაა საჭირო იმისათვის, რომ პირველი F ელემენტის ჯამი იყოს არანაკლებ T ?

შესატანი მონაცემები

პირველ სტრიქონში სამი მთელი რიცხვი, N , F და T .

მეორე სტრიქონი შეიცავს N მთელ რიცხვს a_0, a_1, \dots, a_{N-1} .

გამოსატანი მონაცემები

თუ აღნიშნული ოპერაციით მიზნის მიღწევა შეუძლებელია, გამოიტანეთ "NO", წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიტანეთ ერთი მთელი რიცხვი - ოპერაციების მინიმალური რაოდენობა.

შეზღუდვები და შეფასება

- $1 \leq N \leq 100$.
- $1 \leq F \leq N$.

- $0 \leq T \leq 10^{11}$.
- $0 \leq a_i \leq 10^9$, სადაც $i = 0, 1, \dots, N - 1$.

შენიშვნა: შესატანი რიცხვები შეიძლება ვერ მოთავსდეს 32-ბიტის მთელ რიცხვში, ასე რომ გაითვალისწინეთ გადავსება, თუ იყენებთ C++-ს.

თქვენი ამოხსნა შემონმდება სატესტო ჯგუფების კომპლექტზე, რომელთაგან თითოეული შეფასდება გარკვეული ქულით. ტესტების თითოეული ჯგუფი შეიცავს სატესტო შემთხვევებს. სატესტო ჯგუფის ქულების მისაღებად, თქვენ უნდა მიიღოთ სწორი პასუხი ყველა სატესტო შემთხვევაზე ჯგუფში

ჯგუფი	ქულა	ლიმიტი
1	6	$N \leq 2$ და $a_i \leq 100$, სადაც $i = 0, 1, \dots, N - 1$ და $T \leq 10^9$
2	19	$a_i \leq 1$, სადაც $i = 0, 1, \dots, N - 1$
3	16	$N \leq 20$
4	30	$a_i \leq 100$ სადაც $i = 0, 1, \dots, N - 1$
5	29	დამატებითი შეზღუდვის გარეშე

მაგალითი

პირველ მაგალითში, პირველი ორი ელემენტის ჯამი უნდა იყოს არანაკლებ 27-ისა. ამის მიღწევა შესაძლებელია ორი მეზობელი ელემენტის ერთი გაცვლით: 4 და 20. ამ გაცვლის შემდეგ მასივი მიიღებს სახეს 10 20 4 6 3 3, და მართლაც პირველი ორი ელემენტის ჯამი $10 + 20 = 30 \geq 27$.

მეორე სანიმუშო ტესტის შემთხვევაში, 0 უნდა გადავიდეს მასივის ბოლოში. ამას სამი გაცვლა დასჭირდება.

მესამე სანიმუშო ტესტის შემთხვევაში, შეუძლებელია პირველი ორი ელემენტის ჯამი 100-ზე მეტი ან ტოლი გახდეს. საუკეთესო შემთხვევაში $60 + 30 = 90$.

Input	Output
<pre>6 2 27 10 4 20 6 3 3</pre>	1
<pre>6 5 5000000000 1000000000 1000000000 0 1000000000 1000000000 1000000000</pre>	3
<pre>3 2 100 20 30 60</pre>	NO
<pre>1 1 100 100</pre>	0